

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე პ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„ 26 “ 12 ----- “ 2014 წელი

ეგზ. № 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტების შესრულების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *აშ 57/00*

2014 წელი

შინაარსი

აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტის მიმოხილვა	4
შემოსულობები	5
გადასახდელები	6
ნაშთის გამოყენება.....	7
ბიუჯეტის შესრულება.....	7
ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია ...	8
მასშტაბის შეზღუდვა.....	9
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	10
პრიორიტეტების დოკუმენტი	10
ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარმომადგენლობითი ორგანოსთვის წარდგენა	10
ბიუჯეტის განწერა	11
ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები.....	11
ბიუჯეტში აუსახავი შემოსავლები.....	12
ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.....	13
შრომის ანაზღაურების ხარჯი.....	13
დაგეგმილი ნაშთის ცვლილება.....	14
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	14
აუდიტის დასკვნა.....	15
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	15
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	15

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია:

✓ აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.

✓ მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების ეკონომიურობის და მართლზომიერების შეფასება.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ გაწეული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც, მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტის მიმოხილვა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა საკრებულოს 2011 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით, რომლის მიხედვით შემოსულობები და გადასახდელები განისაზღვრა 9683.2 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცდა 2013 წლის ბიუჯეტი, რომლითაც შემოსულობები და გადასახდელები განისაზღვრა 7918.9 ათასი ლარით.

2012-2013 წლებში დამტკიცებულ ბიუჯეტებში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ: 2012 წლის ბიუჯეტში შევიდა 17 ცვლილება, ხოლო 2013 წლის ბიუჯეტში - 13. ცვლილებები განპირობებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერების ასახვით, თავისუფალი ფულადი სახსრების ნაშთის

განაწილებით და საკუთარი შემოსავლების ზრდით, აგრეთვე საბიუჯეტო მუხლებსა და პროგრამებს შორის თანხების გადანაწილებით.

ცვლილებების გათვალისწინებით 2012-2013 წლების ბიუჯეტები განისაზღვრა შემდეგი საპროგნოზო მაჩვენებლებით:

შემოსულობები

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 17091.7 ათასი ლარით, ხოლო 2013 წელს ბიუჯეტის ანალოგიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 11792.7 ათასი ლარი.

ცხრილი 1

(ათასი ლარი)

დასახელება	2012 წელი	2013 წელი
შემოსულობები	17091.7	11792.7
შემოსავლები	16483.7	11701.7
გადასახადები	5850.6	3849.8
გრანტები	7997.5	5134.9
გათანაბრებითი ტრანსფერი	4085.1	1458.9
მიზნობრივი ტრანსფერი	260.0	260.0
სპეციალური ტრანსფერი	3652.4	3416.0
სხვა შემოსავლები	2635.6	2717.0
არაფინანსური აქტივების კლება	608.0	91.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ცვლილების გარდა)	0	0
ვალდებულების ზრდა	0	0

2012 წელს ბიუჯეტის შემოსავლებმა შეადგენა შემოსულობების 96%. 2013 წელს ანალოგიური მაჩვენებელი წარმოდგენილია 99%-ით. არაფინანსური აქტივების კლებაზე 2012 წელს გათვალისწინებული იყო 608,0 ათას ლარი, 2013 წელს - 91.0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და სხვა შემოსავლებს. 2012 წელს საგადასახადო შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 5850.6 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია და შეადგენს 3849.8 ათას ლარს.

ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს გრანტებს. 2012 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტმა გრანტის სახით მიიღო 7997.5 ათასი ლარი

(მთლიანი შემოსავლის 49%), ხოლო 2013 წელს - 5134.9 ათასი ლარი (მთლიანი შემოსავლის 44%). გრანტებიდან მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებათა განსახორციელებლად მიღებული გათანაბებითი ტრანსფერი შეადგენს 2012 წელს 4085.1 ათას ლარს, 2013 წელს - 1458.9 ათას ლარს. გარდაბნის მუნიციპალიტეტს სახელმწიფოსგან დელეგირებულ უფლებამოსილების განსახორციელებლად, მიზნობრივი ტრანსფერის სახით, 2012-2013 წლებში გამოეყო 260-260 ათასი ლარი. რაც შეეხება სპეციალურ ტრანფერს, 2012 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 3652.4 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს 3416.0 ათასი ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 2635.6 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 2717.0 ათასი ლარი. აღნიშნული შემოსავლები მოიცავს საკუთრებიდან მიღებულ შემოსავლებს; ჯარიმებს, სანქციებსა და საურავებს; საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს; შერეულ და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს.

გადასახდელები

2012-2013 წლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები წარმოდგენილია შემდეგი საპროგნოზო მაჩვენებლებით:

ცხრილი 2

(ათასი ლარი)

დასახელება	2012 წელი	2013 წელი
გადასახდელები	21904.7	15286.5
ხარჯები	12938.0	9857.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	8796.4	5304.6
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ცვლილების გარდა)	0.0	0.0
ვალდებულების კლება	170.3	124.0

2012 წელს ბიუჯეტის გადასახდელებში ხარჯები წარმოდგენილია 59%-ით და შეადგენს 12938.0 ათას ლარს. არაფინანსური აქტივების ზრდაზე მოდის გადასახდელების 40% და შეადგენს 8796.4 ათას ლარს , ხოლო ვალდებულებების კლებაზე - 1% და შეადგენს 170.3 ათას ლარს.

2013 წელს ბიუჯეტის გადასახდელებში ხარჯები წარმოდგენილია 64%-ით და შეადგენს 9857.9 ათას ლარს. არაფინანსური აქტივების ზრდაზე მოდის გადასახდელების 35% და შეადგენს 5304.6 ათას ლარს, ხოლო ვალდებულებების კლებაზე - 1% და შეადგენს 124.0 ათას ლარს.

ნაშთის გამოყენება

მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების დაზუსტებული ბიუჯეტების გადასახდელები აღემატება შესაბამისი წლის მთლიან შემოსულობებს. უარყოფითი მთლიანი სალდოს დასაბალანსებლად გათვალისწინებულია თავისუფალი ფულადი სახსრების ნაშთის გამოყენება. 2012 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ნაშთის გამოყენება 4813.1 ათასი ლარის, ხოლო 2013 წლის - 3493.8 ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის შესრულება

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით 2012-2013 წლების ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

ცხრილი 3

(ათასი ლარი)

დასახელება	2012 წელი				2013 წელი			
	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	ფაქტი	შესრულება	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	ფაქტი	შესრულება
	1	2	3	(3/2)*100	1	2	3	(3/2)*100
შემოსულობები	9683.2	17091.7	18632.1	109%	7918.9	11792.7	11570.4	98%
შემოსავლები	9533.2	16483.6	17901.1	109%	7768.9	11701.7	11374.3	97%
გადასახადები	3698.1	5850.6	6509.0	111%	4000.0	3849.8	3897.6	101%
გრანტები	4325.1	4997.5	7997.5	100%	1718.9	5134.9	4618.6	90%
სხვა შემოსავლები	1510.0	25635.5	3394.6	129%	2050.0	2717.0	2858.1	105%
არაფინანს. აქტივების კლება	150	608	731.1	120%	150	91.0	196.1	215%
ფინანს. აქტივების კლება	0.0	0.0	0.0		0.0	0.0	0.0	
გადასახდელები	9683.2	21904.7	19886.9	91%	7918.9	15286.5	12226.1	80%
ხარჯები	9517.5	12938	12025.8	93%	7722.4	9857.9	8786.5	89%
არაფინანს. აქტივების ზრდა	57.7	8796.4	7703.6	68%	76.5	5304.6	3316.2	63%
ვალდებულებების კლება	108	170.3	157.5	92%	120	124.0	123.4	99%
ნაშთის ცვლილება		-4813.1	-1254.7			-3493.8	-655.7	

2012 წელს მუნიციპალიტეტის შემოსულობების საკასო ხარჯი ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 92%-ით, მათ შორის შემოსავლები გაიზარდა დაახლოებით 2-ჯერ, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 5-ჯერ. რაც შეეხება გადასახდელებს, ბიუჯეტის საკასო მაჩვენებელი დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 105%-ით, მათ შორის ხარჯები გაიზარდა 1,3-ჯერ, არაფინანსური აქტივების ზრდა - 134-ჯერ და ვალდებულებების კლება - 1.5-ჯერ.

2013 წელს მუნიციპალიტეტის შემოსულობების საკასო ხარჯი ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 46%-ით, მათ შორის შემოსავლები გაიზარდა დაახლოებით 2-ჯერ, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 1.3-ჯერ. რაც შეეხება გადასახდელებს, ბიუჯეტის საკასო მაჩვენებელი დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 54%-ით, მათ შორის ხარჯები გაიზარდა 1.1-ჯერ, არაფინანსური აქტივების ზრდა - დაახლოებით 43-ჯერ.


2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული გეგმა შესრულდა 109%-ით, მათ შორის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულდა 109%-ით, არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი - 120%-ით. რაც შეეხება გადასახდელების გეგმას, შესრულდა 91%-ით, მათ შორის ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულდა 93%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 88%-ით, ხოლო ვალდებულებების კლების მაჩვენებელი 93%-ით.

2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული გეგმა შესრულდა 98%-ით. მათ შორის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულდა 97%-ით, არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი - 215%-ით. რაც შეეხება გადასახდელების გეგმას, იგი შესრულდა 80%-ით, მათ შორის ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულდა 89%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 63%-ით, ხოლო ვალდებულებების კლების მაჩვენებელი 100%-ით.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

გარდაბნის მუციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოდგენილია 2012-2013 წლების ჯამური მაჩვენებლებით:

2012-2013 წლებში ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია



2012-2013 წლებში ბიუჯეტის გადასახდელების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 31% მოდის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე, რომელიც ძირითადად მოიცავს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფას. ასევე მაღალია საბინაო კომუნალური მეურნეობის დაფინანსება - 28%. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მოდის თავდაცვასა და ჯანმრთელობის დაცვაზე 1-1%.

მასშტაბის შეზღუდვა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის 2012-2013 წლებში მომუშავე პასუხისმგებელი პირები აუდიტის მიმდინარეობისას შეცვლილი იყო. ახალი თანამშრომლების მიერ ვერ იქნა მოწოდებული მოთხოვნილი ინფორმაცია, რასაც ისინი ხსნიან იმით, რომ მუნიციპალიტეტში ბუღალტრული აღრიცხვა 2007 წლიდან არ არის ნაწარმოები. აუდიტის მსვლელობისას მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ბიუჯეტის მუხლების ხარჯვის შესაბამისი მონაცემები. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოვიპოვა რწმუნება ბიუჯეტის შესრულების სიზუსტეზე, რამდენად სწორად, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისადაა ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

პრიორიტეტების დოკუმენტი

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“¹ მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო, ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2013 წლებში გამოცემული შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი ვერ იქნა წარმოდგენილი.

ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარმომადგენლობითი ორგანოსთვის წარდგენა

1. ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მიხედვით, საფინანსო ორგანო საბიუჯეტო ორგანიზაციებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადების ფორმებს ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გაგზავნილ საბიუჯეტო განაცხადის ფორმებში არ არის მითითებული ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობები. შესაბამისად, არ არის შესრულებული საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის მოთხოვნა.

2. 2012 წლის ბიუჯეტის პროექტი გამგეობის მიერ საკრებულოსთვის წარდგენილია კანონით² განსაზღვრული ვადების დარღვევით: პროექტის თავდაპირველი ვარიანტი ნაცვლად 2011 წლის 15 ნოემბრისა, საკრებულოში წარდგენილია 22 ნოემბერს, 7 დღის დაგვიანებით. იმავე წელს ბიუჯეტის

¹ საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მუხლი 76 პუნქტი 3.

² საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე და 78-ე მუხლი.

პროექტის შესწორებული ვარიანტი საკრებულოზე წარდგენილია 12 დეკემბერს, 2 დღის დაგვიანებით.

ბიუჯეტის განწერა

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მიხედვით³, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა, საფინანსო ორგანო ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას. მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტის განწერის ოფიციალური დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი.

ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით, ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელებისას გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანება:

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, ბიუჯეტში უნდა შეიტანოს ცვლილება და ეს 1 თვის ვადაში უნდა წარედგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს. გარდაბნის მუნიციპალიტეტს, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის N1380 განკარგულებით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის გამოეყო 16 ათასი ლარი. თანხა მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ჩაირიცხა 2012 წლის 12 სექტემბერს. მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტში ცვლილებები აღნიშნულ თანხის ასახვასთან დაკავშირებით შესულია 2012 წლის 30 ნოემბერს, 3 თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით. ამასთან, 4.0 ათასი ლარი სექტემბრის თვეში ისე იქნა გახარჯული, რომ ბიუჯეტში ცვლილებები შეტანილი არ იყო. შედეგად დარღვეულია კანონის მოთხოვნა და სახელმწიფოდან გამოყოფილი თანხები დროულად არა ასახული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

³ საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 82-ე მუხლის პირველი პუნქტი

ბიუჯეტში აუსახავი შემოსავლები

ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებს (მათ შორისაა გარდაბნის მუნიციპალიტეტი), თვითმმართველ ქალაქ რუსთავსა და სს „ლიბერთი ბანკს“- შორის, 2012 წლის 1 თებერვალს გაფორმებულია შეთანხმება №M-06/01-21643328, რომლის მიხედვით საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებზე დასარიცხი საპროცენტო სარგებლის თანხა - წლიურად 17%-ის ოდენობით, მიმართული იქნებოდა „სხვადასხვა ღონისძიებების რეალიზების მიზნით“. 2012 წლის 14 დეკემბრით დათარიღებული „შეთანხმება - გარიგების შეწყვეტის“ დოკუმენტით ირკვევა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტისათვის საპროცენტო სარგებელმა შეადგინა 746.2 ათასი ლარი, საიდანაც 486.4 ათასი ლარი მიმართულია შეთანხმების თანახმად ღონისძიებების დასაფინანსებლად, მუნიციპალიტეტისა და შესაბამისად სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის გვერდის ავლით (დარჩენილი 259.8 ათასი ლარი მუნიციპალიტეტმა მიიღო სრულად).

ამდენად, საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთებზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის თანხა 486.4 ათასი ლარი არ არის ასახული გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში.

აღნიშნული ქმედებით დარღვეულია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები⁴:

ყოველისმომცველობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;

უნივერსალობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად.

კონსოლიდირება – ყველა ღონის ბიუჯეტების შემოსულობების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა და გადასახდელების გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

⁴ საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტი,

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მიხედვით (მუხლი 76), ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშსა და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს. საფინანსო სამსახურის მიერ 2012-2013 წლების ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშები მომზადებული და საკრებულოზე წარდგენილი არ არის. ამდენად, არ მომხდარა საკრებულოს მიერ ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების განხილვა და მისი დამტკიცების ან არ დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღება (ამავე კანონის 88-ე მუხლის პირველი პუნქტი).

შრომის ანაზღაურების ხარჯი

საქართველოს კანონის „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 22-ე მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით, 2013 წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებები უფლებამოსილი არიან გაზარდონ მათთვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არა უმეტეს იმავე მუხლით დამტკიცებული ასიგნების 1/12-ისა.

2013 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული კანონის მოთხოვნის დარღვევითაა გაზრდილი დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული შრომის ანაზღაურების მუხლი. კერძოდ, 2013 წელს დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული „შრომის ანაზღაურების“ მუხლი შეადგენდა 2234.0 ათას ლარს, რომლის 1/12 არის 186.2 ათასი ლარი. წლის განმავლობაში ეს მუხლი გაზრდილია 561.9 ათასი ლარით და დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგინა 2795.9 ათასი ლარი⁵, კანონით დაშვებულ ნორმაზე 375.7 ათასი ლარით მეტი, მათ შორის: გამგეობის - 235.8 ათასი ლარით, საკრებულოს - 85.7 ათასი ლარით, საგანგებო სიტუაციების სამსახურის - 33.4 ათასი ლარით, სამხედრო სამსახურს - 20.8 ათასი ლარით.

⁵ შესრულებამ შეადგინა 2791.3 ათასი ლარი (99.8%).

დაგეგმილი ნაშთის ცვლილება

მუნიციპალიტეტის საბანკო ანგარიშზე წლების განმავლობაში ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი და სპეცილური ტრანსფერების აუთვისებელი თანხები, რომლებიც არ არის დაბრუნებული სახელმწიფო ხაზინაში და არც მისი შემდგომი ხარჯვის საკითხი არის შეთანხმებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.

სახელმწიფო ბიუჯეტში დაუბრუნებული თანხის ნაშთები შეადგენდა: 2012 წლის 1 იანვრისათვის 1987.3 ათას ლარს; 2013 წლის 1 იანვრისათვის 1015.0 ათას ლარს, ხოლო 2014 წლის 1 იანვრისათვის 1206.1 ათას ლარს (რომელშიდაც 139.0 ათასი ლარი მიღებულია 2012 წლამდე).

მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს დაბრუნებულია სახელმწიფო ბიუჯეტში 2009-2012 წლებში მიღებული მიზნობრივი და სპეცილური ტრანსფერების აუთვისებელი ნაშთი, 181.1 ათასი ლარი. აღნიშნული ადასტურებს, რომ სახელმწიფოდან მიღებული მიზნობრივი და სპეცილური ტრანსფერების მომდევნო წლებში ხარჯვაზე თანხმობის არ ასეობის მიუხედავად, ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ანგარიშზე არსებული მთლიანი ნაშთები. კერძოდ, 2013 წლის 1 იანვრისათვის საბანკო ანგარიშზე არსებული 3631.2 ათასი ლარიდან ბიუჯეტში ჩადებულია 3493.8 ათასი ლარის გამოყენება. ამ თანხაში შედის 43.7 ათასი ლარი, რომლის ხარჯვის უფლება არ ჰქონდა მუნიციპალიტეტს და დააბრუნა სახელმწიფო ბიუჯეტში (3631.2-3493.8-181.1 ათასი ლარი).

ნაშთის ცვლილება წარმადგენს ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენებას. მისი ბიუჯეტში ჩადებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ ისეთი თანხები, რომლის ხარჯვის უფლება მუნიციპალიტეტს აქვს. ამდენად, აღნიშნული ფაქტი მიუთითებს მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტის არასწორ დაგეგმვაზე.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი

გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, საიდანაც თანხებს, გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოყოფს საფინანსო ორგანო.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლის ბიუჯეტებში გათვალისწინებულია სარეზერვო ფონდი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ განსაზღვრული წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული მთლიანი ასიგნების 2%-ის ფარგლებში, 2012 წელს 193.0 ათასი ლარი, 2013 წელს კი 100.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯები: 2012 წელს 105.7 ათასი ლარი და 2013 წელს - 5.7 ათასი ლარი, არ არის ნაჩვენები ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში. ის ასახულია იმ პროგრამისა და ორგანიზაციული კოდის ასიგნებასა და შესაბამისად ხარჯებში, რომლის დაფინანსებაც მოხდა.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2013 წლების ბიუჯეტების შესრულების პროცესში განხორციელებული საქმიანობა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:

გიორგი ჩახვაძე

ხელმოწერა

24.12.2011 თარიღი

წამყვანი აუდიტორი:

ზურაბ ქათამაძე



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორი:

ლალი ამბროლაძე



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

სოფიო ბელთაძე



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი